— ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკა ქმნის რაკეტის მართვის სისტემას, რომელიც რთული ხელსაწყოებისა და მოწყობილობებისაგან შედგება. ისინი მართავენ რაკეტას ფრენის დროს. ამას გარდა, ხელსაწყოები და მოწყობილობანი ყოველ მომენტში უზრუნველყოფენ საბრძოლოდ გამზადებული რაკეტების დისტანციურ და ავტომატურ შემოწმებას, მათს საჭირო მომზადებას სტარტის წინ, დისტანციურ გაშვებას.

მართვის სისტემის ძირითადი ელემენტებია საკომანდო ხელსაწყოები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჭურვების მიზანში ამოღებას. ელექტრონული საანგარიშო-ამოსახსნელი მოწყობილობანი ან, როგორც მათ

ასამბლეამ მოგვწოდა პორტუგალიის ცნობა დამონებული ხალხების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლება, ოარი თქვას რეპრესიებზე და შეიქმნას პირობები, რაც საჭიროა აფრიკელ მოსახლეობის არჩეული წარმომადგენლებისათვის ხელისუფლების გადასაცემად.

ბოლო ორების ორგანიზაციის მიერ წინათ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ასამბლეამ დაგმო ოცხოეთის ფინანსური წრეების საქმიანობა პორტუგალიის კოლონიებში და მოუწოდა ყველა ქვეყანას, უწინარეს ყოვლისა პორტუგალიის ნატოელ მოკავშირეებს, არ დაუჭიროთ მხარი კოლონიზატორებს, არ მოიმარაგონ ისინი იარაღითა და საომარი მასალებით.

ასამბლეამ 82 ხმით მიიღო შესაბამისი რეზოლუცია. ამერიკის შეერთებულ შტატების, ინგლ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲓᲘᲓᲐᲓ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲛᲣᲚᲝ ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲡᲢᲝᲠᲘᲡ-ᲫᲔᲕ! ᲡᲡᲠᲙ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲡᲠᲙ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲐᲛᲪᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ.

თქვენ ხართ გამოჩენილი მეცნიერი, რომლის შრომებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს საბჭოთა მათემატიკისა და მექანიკის განვითარებაში.

თქვენ გეკუთვნით ფუძემდებლური გამოკვლევები ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა სასაზღვრო ამოცანებში. თქვენ მიერ დამუშავებული მეთოდი სასაზღვრო ამოცანების რედუქციისა სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებზე წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ ძირითად იარაღს მათემატიკის ამ უბანში. თქვენ მიერ შექმნილმა განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიამ შესაძლებელი გახადა ღრმად შეგგვესწავლა ელიფსური სისტემის ამოხსნა სიბრტყეზე კოეფიციენტების სიგლუვეზე მინიმალური დაშვების შემთხვევებში. განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიამ გააფართოვა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენების არე გეომეტრიასა და მექანიკაში.

თქვენ გამოიკვლიეთ ორი დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში ელიფსური სისტემებისათვის ზოგადი სასაზღვრო ამოცანის ინდექსის საკითხი და მონახეთ ფორმულა ასეთ ამოცანათა ინდექსისათვის. ელიფსური სისტემების. ინდექსთა თეორია უკანასკნელ წლებში ინტენსიურად განვითარდა მთელ რიგ საბჭოთა და უცხოელ მათემატიკოსთა შრომებში.

თქვენ მიერ შექმნილმა ანალიზურ კოეფიციენტებიანი ელიფსური ტიპის განტოლებათა ამოხსნის ახალმა მეთოდებმა შესაძლებლობა მოგვცა ეფექტურად შეგვესწავლა მათემატიკური ფიზიკის განტოლებათა მთელი რიგი კლასების ამოხსნა.

თქვენმა ბრწყინვალე შრომებმა სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში, რომლებიც წარმოადგენენ ქართული მათემატიკური სკოლის ტრადიციების გაგრძელებას ამ დარგში, მსოფლიო აღიარება ჰპოვეს.

თქვენ ხართ მეცნიერების გამოჩენილი ორგანიზატორი. წლების განმავლობაში თქვენ ხართ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის განყოფილების ბიუროს აქტიური წევრი. დიდ მუშაობას ეწევით როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. ხართ რა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, დიდ ძალას ახმართ მეცნიერული კადრების მომზადებასა და ახალგაზრდა თაობის აღზრდას.

სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას თქვენ უხამებთ სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის დიდ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას.

თქვენი მრავალმხრივი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა აღნიშნულია მაღალი ჯილდოებით — ლენინის ორდენებით, საპატიო ნიშნის ორდენით და მედლებით. თქვენ მონიჭებული გაქვთ ლენინური პრემიის ლაურეატისა და სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდებები.

გისურვებთ, ძვირფასო ილია ნესტორის-ძევ, თქვენი სახელოვანი იუბილეს დღეს ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებითს მიღწევებს საბჭოთა მეცნიერების საკეთილდღეოდ.

მ. კელდიში,
სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი,

ზ. კონსტანტინოვი,
სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი,

ი. პეტროვი,
სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი, აკადემიკოსი,

ნ. ბოგოლიუბოვი,
სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი, აკადემიკოსი,

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ᲓᲦᲔᲡ, როცა ვზეიმობთ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელოვან იუბილეს, მე, ვისაც წილად მხვდა ბედნიერება ჩავთვალო იგი ჩემს უახლოეს მეგობრად, მსურს ვთქვა რამდენიმე სიტყვა ამ შესანიშნავ ადამიანზე.

არ შეეჩერდები არც მის ბიოგრაფიაზე და არც მის მეცნიერული დამსახურების მეტნაკლებად სრულ აღწერაზე. ეს მოცემულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ანდრია ბიწაძის ნიჭიერად დაწერილ პატარა წიგნში, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა. მინდა მხოლოდ მოგითხროთ რამდენიმე ეპიზოდი, პირადად ჩემთან დაკავშირებული, და შეგიმჩნიათ ზოგადი წარმოდგენა მისი შრომების ხასიათზე.

შეიძლება ეს უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ილია ვეკუას ნამდვილად მხოლოდ 1930 წელს გავეცანი ლენინგრადში, სადაც იგი ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში იყო წარგზავნილი ჩემივე რეკომენდაციით სხვა ახალგაზრდა მათემატიკოსთა ჯგუფთან ერთად. იმ დროს თბილისში ჩვენ, პროფესორი-მათემატიკოსები, ძალიან ცოტა ვიყავით და ამიტომ მრავალი საგნის წაკითხვა გვიხდებოდა. სტუდენტები კი საკმაოდ ბევრნი იყვნენ და ჩემთვის ძნელი იყო დამმახსოვრებოდა ყოველი მათგანი, თუნდაც ძალზე ნიჭიერიც, განსაკუთრებით კი ისეთი, როგორიც იყო ილია ვეკუა, ძლიერ თავმდაბალი და მოკრძალებული. ლენინგრადში ჩასვლის რამდენიმე ხნის შემდეგ (ხშირად მიხდებოდა იქ გამგზავრება ასპირანტებისათვის ლექციების წასაკითხად და მათთან სამუშაოდ) მივედი ინსტიტუტის დირექტორთან, აკადემიკოს ს. ნ. კრილოვთან (ეს იყო გამოჩენილი გემთმშენებელი ინჟინერი და შესანიშნავი სპეციალისტი გამოყენებით მათემატიკაში), რათა გამეგო, თუ როგორ მუშაობენ ჩვენს მიერ წარგზავნილი ასპირანტები. შევეკითხე ერთი ასპირანტი. შემდეგ მეორის შესახებ, რომელთაც კარგად ვიცნობდი, და გაოცებული დავრჩი ამით, რომ ს. ნ. კრილოვი მხოლოდ ვეკუაზე ლაპარაკობდა. უნდა ითქვას, რომ ს. ნ. კრილოვის სპეციალობა საკმაოდ შორს არის იმ დარგიდან, რომელშიც ილია ვეკუა მუშაობდა. მაგრამ ს. ნ. კრილოვი ერთ-ერთი უგონიერესი ადამიანი იყო მათ შორის, ვინც შემხვედრია და კარგად სჯერდება იმასაც კი, რაც მისი სპეციალობისაგან შორს იყო.

მეორე დღეს შევიარე პროფესორ ვ. ი. სმირნოვთან (ესეც ძალიან დიდი მეცნიერია, ამჟამად აკადემიკოსი). იქ შემთხვევით დავესწარი მოხსენებას, რომლითაც გამვიდა ილია ვეკუა, და ამ მოხსენებამ ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აზრის სიმწიფით და გადმცემის სიცხადით. მხოლოდ მაშინ დავიჯერე ნათლად, თუ რას წარმოადგენდა ეს შესანიშნავი ახალგაზრდა. ჩვენი ახლო ნაცნობობა სწორედ ამ სემინარის შემდეგ დაიწყო (უფრო ზუსტად იმავე დღეს) და ეს ნაცნობობა გადაიზარდა ახლო მეგობრობაში, რომელიც დღემდე გრძელდება.

ასაკობრივმა განსხვავებამ (17 წელი, რომელიც მაშინ თითქოს უზარმაზარი იყო — ახლა კი თითქმის გაქრა) ვერ შეუშალა ხელი ჩვენს მეგობრობას და ჩვენი მეცნიერული მუშაობა, განსაკუთრებით 1951 წლამდე, როცა ის ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი ნოვოსიბირსკში გადავიდა, ყოველთვის მიმდინარეობდა მჭიდრო კონტაქტით. კერძოდ, ილია ვეკუას შრომებმა ეგრეთწოდებულ სინგულარული ინტეგრალური განტოლებების სფეროში დიდი გავლენა მოახდინა ჩემი საკუთარი შრომების მიმართულებაზე, რისი საგანგებო აღნიშვნაც ჩემი ამ სფეროში დაწერილი მონოგრაფიის წინასიტყვაობაში სასიამოვნო მოვალეობად მიგიჩნიე.

მიუხედავად ამისა, ჩვენ არ გაგვიჩნია საერთო შრომები (გარდა ერთისა, რომელსაც მიმოხილვითი ხასიათი აქვს). მრავალჯერ ვიმსჯელეთ, რომ დრეკადობის თეორიის ერთ-ერთ საკითხზე ერთობლივი მონოგრაფია დაგვეწერა, მაგრამ ვერაფრით ვერ დავიწყეთ და ალბათ ვერც შევუდგებით. შეიძლება ასეც სჯობს, რადგან ჩვენ წერის ძალიან განსხვავებული მანერა გვაქვს (მიუხედავად იმისა, რომ საგნის არსზე ერთობლივი შეხედულება გვაქვს). თანამედროვე მეცნიერების, კერძოდ მათემატიკის, მძლავრმა განვითარებამ, გამოიმუშავა წერის ახალი, მოკლე და სხარტი სტილი.

ილია ვეკუა სრულად ფლობს ამ სტილს და მისი ზოგიერთი მცირე მოცულობის შრომები გამსჭვალულია ღრმა შინაარსით. მისი დიდი მონოგრაფიები მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მაგრამ მასვე აქვს ისეთი მნიშვნელოვანი შრომები, რომლებიც სტილის მიხედვით მოგვაგონებენ წარსული საუკუნის დასასრულის და დღევანდელი საუკუნის დასაწყისის კლასიკოსებს. ამ შრომებს განსაკუთრებული სიამოვნებით კითხულობ. როგორც წარსულ საუკუნეში დაბადებულს, მე ეს მეპატიება.

ყოველ ადამიანს შეხვედრია სიძნელეები ცხოვრებაში. ასეთი სიძნელეები ხვდა წილად ილია ვეკუასაც. ყველაფერმა ამან, საბედნიეროდ, უყვალოდ ჩაიარა, მაგრამ მე არასოდეს არ დამავიწყდება ის აღტაცება, რომელსაც იწვევდა ეს შესანიშნავი ადამიანი ჩემში და ჩვენს საერთო მეგობრებში ნებისყოფის სიძლიერით, მეცნიერებისათვის თავდადებით.

დაე ილია ვეკუას ცხოვრება და მოღვაწეობა ყოველთვის იყოს მაგალითი მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებისათვის.

ილია ვეკუას მუშაობა საქართველოში აუცილებლად მოახდენს დიდ გავლენას მათემატიკის შემდგომ განვითარებაზე ჩვენთან.

ვუსურვოთ ილია ვეკუას მრავალი წლის ბედნიერი ცხოვრება და ახალი შემოქმედებითი წარმატებანი.

აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲢᲐᲚᲐᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲪᲔᲛᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲜᲒᲘᲠᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ, ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲜᲘᲡᲪᲔᲛᲚᲘ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠᲙ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲐᲛᲪᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ.

ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲕᲘᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡᲐ.

აკადემიკოსები: ს. სობოლევი, ა. მალცევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: ა. ბიწაძე, ა. ბოგოროკოვი, დ. შიროკოვი და სხვ., სულ 27 მეცნიერი თანამშრომელი.

...**სახელოვან** იუბილესთან დაკავშირებით, ილია ნესტორის-ძეს, მხურვალედ მოგვესალმებით, გისურვებთ ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს საბჭოთა მეცნიერების სადიდებლად და ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

აკადემიკოსი ი. მ. ვინოგრადოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი; აკადემიკოსი ლ. ი. სადოვი, აერონავტიკის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი; აკადემიკოსი ი. გ. პეტროვსკი, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

...მინდა გამოვხატო ჩემი პირადი სურვილები და უღრმესი პატივისცემის გრძნობა გამოჩენილ კოლეგისადმი — აკადემიკოს და რექტორ ილია ვეკუასადმი. — ბედნიერი ვარ, რომ მაქვს პატივი ვუსურვო მას ხანგრძლივი სიცოცხლე და წარმატებები.

მორის რუა,
აკადემიკოსი, თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო გაერთიანების პრეზიდენტი (პარიზი).

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ მეგობრები კურანტის მათემატიკურ ინსტიტუტიდან გითვლით უგულითადეს სურვილებს სწორედ ამ დღეს, როცა თქვენი მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები ღირსეულად აფასებენ თქვენს მეცნიერულ ღვაწლს...

კურანტი, სტოკერი, ფრიდრიხსი, ᲛᲝᲜᲖᲐᲠᲘ, ᲯᲝᲜᲡᲝᲜ, ᲜᲘᲠᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘ, ᲚᲐᲥᲡᲘ, ᲒᲐᲠᲑᲐᲓᲘᲐᲜᲘ, ᲛᲝᲠᲐᲕᲔᲪᲘ, ᲑᲠᲣᲜᲒᲕᲘᲪᲘ. (ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ).

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲕᲔᲭᲘᲚᲘ

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ კიდევ თვალს თუ გადაავლებთ ქართული მათემატიკური სკოლის მიღწევებს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე, გული სიამაყით აგვეკვნესა ის, რომ ბევრად მნიშვნელოვანი წვლილის გამო, რაც ქართველმა მათემატიკოსებმა შეიტანეს მათემატიკურ მეცნიერებათა საგანძურში — პირველ რიგში დრეკადობის თეორიაში და დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის ფუნდამენტალურ პრობლემებში.

ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით გამოჩენილ საბჭოთა მათემატიკოსებს ნიკოლოზ მუსხელიშვილს, ილია ვეკუას, კვეტარ კუპრაძეს და მათს მრავალრიცხოვან მოწაფეებს.

და აი სახელმოხვეჭილ ქართველ მეცნიერს ილია ვეკუას წელს დაბადებიდან სამიაი წელი შეუსრულდა. იგი დაიბადა 1907 წელს გალის რაიონის სოფელ შემელეთში გლეხის ოჯახში.

1925 წელს ილია ვეკუამ წარმატებით დაამთავრა ქ. ზუგდიდის საშუალო სკოლა და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ეს უკანასკნელი მან დაამთავრა 1930 წელს და მაშინვე გაეგზავნა ლენინგრადში. იქ შევიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, რომელიც სამი წლის შემდეგ წარმატებით დაამთავრა.

ილია ვეკუა ბრუნდება საქართველოში და იწყებს მეტად ნაყოფიერ მეცნიერულ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

1951 წლიდან 1964 წლამდე მას უხდება მუშაობა ჯერ მოსკოვში და შემდეგ ქალაქ ნოვოსიბირსკში, სადაც აგრძელებს თავის მრავალფეროვან მოღვაწეობას.

აი რამდენიმე ღირსშესანიშნავი თარიღი ილია ვეკუას ცხოვრებიდან:

1937 წელს იგი იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „დრეკად რხევათა გავრცელება უსასრულო ფენაში“, ხოლო ორი წლის შემდეგ — სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „ელიფსურ განტოლებათა კომპლექსური წარმოდგენა და მისი გამოყენება სასაზღვრო ამოცანებში“, 1940 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება; 1943 წელს შედის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში, ი. ვეკუა, უკვე ცნობილი მეცნიერი 1940-1944 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მატემატიკის ფაკულტეტის დეკანია, ხოლო 1944-1947 წწ. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი. 1946 წელს მას ირჩევენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრად. 1950 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია, მონოგრაფიისათვის „ელიფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები“.

ხუთი წლის განმავლობაში ი. ვეკუა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ მოღვაწეობდა, 1958 წელს აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. 1961 წელს დაჯილდოეს ლენინის ორდენით; 1963 წელს მიანიჭეს ლენინური პრემია მონოგრაფიისათვის „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“. 1959-1964 წწ. იუბილარი მოღვაწეობდა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში — იგი ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორია.

1964 წლიდან ი. ვეკუა დაბრუნდა სამშობლოში, დაიწყო მოღვაწეობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 1966 წლიდან უძღვება ქართველი კულტურის და ცოდნის ტაძარს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია.

აკადემიკოსი ი. ვეკუა 1966 წელს აირჩიეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, მეორედ დაჯილდოეს ლენინის ორდენით, მიანიჭეს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და თბილისის საქალაქო საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარედ. დანიშნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ახლახან ჩამოყალიბებული გამოყენებითი მათემატიკის პრობლემური ლაბორატორიის მეცნიერ ხელმძღვანელად.

მეტად მნიშვნელოვანია ილია ვეკუას გამოკვლევანი სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში, ზოგადი სახის ანალიზურ კოეფიციენტებიანი ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა სასაზღვრო ამოცანების თეორიაში და განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიაში. ამ გამოკვლევებს მრავალრიცხოვანი საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოყენება აქვს გეომეტრიაში, დრეკად გარსთა თეორიასა და რხევათა თეორიაში. ამ გამოკვლევათა ძირითადი შედეგები თავმოყრილია მის მონოგრაფიებში, რომლებიც თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ და სხვა ენებზე.

ილია ვეკუას მთავარი მეცნიერული დამსახურება ის არის, რომ მან ორი ცვლადის ზოგადი სახის ანალიზურ კოეფიციენტებიანი ელიფსური ტიპის წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა და საკმარისად ზოგადი სახის არაანალიზურ კოეფიციენტებიანი ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემების სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის მეთოდები, რომლებიც მანამდე მხოლოდ ზოგიერთ კერძო შემთხვევაში იყო გამოყენებული, შესანიშნავად განავითარა და მათ მეტად სრულყოფილი სახე მისცა.

ამისათვის მას დასჭირდა ასეთივე სრულყოფილი სახე მიეცა ეგრეთწოდებულ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიისათვის ჩაკეტილი კონტურების შემთხვევაში. მან ეს იც შესანიშნავად გააკეთა, თავისი გამოკვლევებით სერიოზული ბიძგი მისცა და ხელი შეუწყო როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მათემატიკოსების მთელ რიგ მნიშვნელოვან აღმოჩენებს ხსენებული მიმართულებით.

იუბილარის კვლევის ეს შედეგები ხაზგასმით საკმარისია იმისათვის, რომ მათი ავტორი ჩაითვალოს თანამედროვე მათემატიკის ხსენებული დარგების ერთ-ერთ დიდ სპეციალისტად. მაგრამ, როგორ ტემპერატი მეცნიერი, ის არ დაკმაყოფილდა მიღწეულით და მისთვის ჩვეული გატაცებით შეუდგა თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის იმ პრობლემების გაანკვლევას, რომლებსაც კავშირი აქვთ მის ზემოხსენებულ ძირითად შედეგებთან.

ამ პრობლემებიდან აქ დავასახელებთ ფართოფულთა მცირე ფუნქციის ამოცანებს და დრეკად გარსთა თეორიის სასაზღვრო ამოცანებს.

უკანასკნელად ქების ღირსია ი. ვეკუას მიერ აღმოჩენილი სრული ოვალოიდის სიხისტის ახლებური ლამაზი დამტკიცება.

ცნობილია, რომ დრეკად გარსთა კლასიკურ თეორიას ის არეკვლითი ნაკლი აქვს, რომ სასაზღვრო ამოცანებში ძირითადი დიფერენციალური განტოლებანი სასაზღვრო პირობებთან თავსებადი არ არის. აკადემიკოსი ილია ვეკუა იძლევა დრეკად გარსთა თეორიის ახალ ვარიანტს, რომელსაც ეს ნაკლი არა აქვს, და, ამას გარდა, მის მიერ მიღებული განტოლებანი თავიანთი აგებულებით ახლოა დრეკადობის ბრტყელი თეორიის ცნობილ განტოლებებთან. ეს უკანასკნელი გარემოება კი საშუალებას იძლევა დრეკადი გარსთა თეორიის სასაზღვრო ამოცანები ისევე სრულყოფილად და ეფექტურად იქნას შესწავლილი, როგორც დრეკადობის ბრტყელი თეორიის ანალოგიური ამოცანები.

საგაზეთო სტატიის ფარგლები არ იძლევა საშუალებას გავაკეთოთ სრული მიმოხილვა ყველა იმ შედეგისა, რომლებიც მოეცმულია ილია ვეკუას მრავალრიცხოვან გამოკვლევებში (ასზე მეტი მეცნიერული სტატია და 6 მონოგრაფია).

გაკვირვებასა და აღტაცებას იწვევს ის დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგია, რომელსაც ღრმა მეცნიერულ მუშაობასთან ერთად, ილია ვეკუა ამჟღავნებს პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ილია ვეკუას დიდი დამსახურება პედაგოგიური მოღვაწეობის ასპარეზზე. სადა ენა, დახვეწილი აზრი და მაღალი მეცნიერული დონე მისი ლექციებისა ყოველთვის მომხიბლავ შთაბეჭდილებას ტოვებს მსმენელზე. ჩვენს პატივცემულ იუბილარს მრავალი მოწაფე და მიმდევარი ჰყავს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში. ზოგიერთი მათგანი უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი მეცნიერია და ნაყოფიერად განაგრძობს თავისი მასწავლებლის სახელოვან ტრადიციას.

აქვე უნდა აღინიშნოს ილია ვეკუას ნაყოფიერი კონსულტაციები ასპირანტებთან, დოქტორანტებთან, მეცნიერ თანამშრომლებთან, ინჟინრებთან და აქტიური მეცნიერული კონტაქტი საბჭოთა და უცხოეთის მრავალი ქვეყნის სპეციალისტებთან. კარგად ცნობილია ილია ვეკუას საინტერესო მოხსენებები საბჭოთა და უცხოელი მათემატიკოსებისა და მექანიკოსების სამეცნიერო სესიებზე, კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე, რომლებიც საკმაოდ ხშირად ეწყობა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

ერთი წელია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა გამოყენებითი მათემატიკის პრობლემური ლაბორატორია ილია ვეკუას უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით. ლაბორატორიის საკვლევო პრობლემებში შემავალი ზოგიერთი თემა საკავშირო მნიშვნელობისაა.

ასეთია მოკლე მიმოხილვა მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობისა, რასაც ილია ვეკუა დაუღალავად ეწევა ოცდაჩვიდმეტი წლის განმავლობაში. ქართულ მათემატიკურ სკოლას შეუძლია იამაყოს თავისი ისეთი წარმომადგენლით, როგორიც არის ნიჭიერი მკვლევარი და სახელმოხვეჭილი მეცნიერი აკადემიკოსი ილია ვეკუა.

ვუსურვოთ სახელოვან იუბილარს ჯანმრთელობა და შემდგომი მეცნიერული წარმატებანი ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ლ. მალნარაძე.
საქართველოს მათემატიკური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ილია ვეკუასათვის ყველა და ყველაფერი ახლობელია უბადვილესტატში: მისი მეცნიერული მოღვაწეობიდან დაწყებული — კარისაცამდე.

იგი აღმზრდელი უნივერსიტეტის თაყვანისმცემელია. აქ გვიარა მან სტუდენტობიდან რექტორამდე. ეს ადგილი, სადაც ილია ვეკუა ინიციალურად ამ ინსტიტუტიდან 1930 წელს ასპირანტად ჩაირიცხა რამდენიმე ათეული მისი და ჯიანი, ინგილო და ოდი, ხუსური და მოხეური.

ჩვენი ღვაწლმოსილი იუბილარი, აღმზრდელობით ღონისძიებათა მთელი კომპლექსით წარმართავს სტუდენტებთან მუშაობას, სადაც გამორიცხულია შემეცნელი ადმინისტრირება, დისციპლინური სასჯელის უწყვეტი ბოქარა. სტუდენტი მაშინ ისწავლა, როცა სასკოლის მიზანშეწონილობა და ჯარღვევლობა დამაჯერებელია სტუდენტთა მასისათვის. იგი აქ ეგზაჯრება ცნობილ პედაგოგიურ პრინციპს: ნდობის მაქსიმუმი — მოთხოვნილების მაქსიმუმი.

ილია ვეკუა ინიციალისტი მიიღოს, ილია ვეკუას ინიციალურად ამ ინსტიტუტიდან საპოსტდიპლომო ინჟინერულ ინსტიტუტთან შეიქმნა მოსამზადებელი კურსები, სადაც გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლები საზოგადოებრივი დავალების სახით ატარებენ ლექცია-პრაქტიკუმებს. კურსმა მთლიანად გაამართლა თავიანი დანიშნულება. უკვე წელსვე, მისაღები გამოცდების შედეგად, ინჟინერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა რამდენიმე ათეული ბიჭი და ჯიანი, ინგილო და ოდი, ხუსური და მოხეური.

ჩვენი ღვაწლმოსილი ინიციალური აღმზრდელობით ღონისძიებათა მთელი კომპლექსით წარმართავს სტუდენტებთან მუშაობას. სადაც გამორიცხულია შემეცნელი ადმინისტრირება, დისციპლინური სასჯელის უწყვეტი ბოქარა. სტუდენტი მაშინ ისწავლა, როცა სასკოლის მიზანშეწონილობა და ჯარღვევლობა დამაჯერებელია სტუდენტთა მასისათვის. იგი აქ ეგზაჯრება ცნობილ პედაგოგიურ პრინციპს: ნდობის მაქსიმუმი — მოთხოვნილების მაქსიმუმი.

ლექტორის ყველაზე დიდი ბარომეტრი სტუდენტია. სტუდენტებზე უკეთ ვერავინ გრძნობს ლექტორის ღირსებებს. ილია ვეკუა ლექტორის ავტორიტეტს განმტკიცებას იმაში ხედავს, რომ თვითეული მათგანი ინაღლებდეს მეცნიერულ დონეს. არ ჩაბორჩეს მეცნიერების ზრდის უსწორფეს ტემპებს. სხვანაირად სტუდენტს თვალში ლექტორის ავტორიტეტი ვერ ამაღლდება ამ დონეზე, როცა ალმზრდელის პირადი მაგალითის ძალა გადამწყვეტ ფაქტორად იქცევა ალსაზრდელთათვის.

ილია ვეკუა ღრმა კომპეტენტურობით წარმართავდა მრავალმხრივ მეცნიერულ-კვლევითს მუშაობას უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ლაბ. საბუნებისმეტყველო დარგში. ახლა ამ მიმართულებით წარმატებებიც არის მოპოვებული. ამის შედეგია ის, რომ მომდინარე წლის ოქტომბრიდან სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საინსტიტუტო მიერ, ფილისის უნივერსიტეტი (ერთადერთ კავკასიის უმაღლეს სასწავლებლთა შორის) შეყვანილია საბჭოთა კავშირის წამყვან 25 უმაღლეს სასწავლებელთა რიგებში, როლლებაც სახალხო მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობის სამეცნიერო კადრების აღზრდაა.

ილია ვეკუა ბრძოლა ფილოსოფიურ ფრონტზე, ბრძოლა ეროვნულ ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ



ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ

ᲐᲚᲑᲐᲗ ᲜᲘᲜᲝᲡᲘᲑᲘᲠ

ჩვენს კრებულებში

გვატყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები

ტელეფონი საკოლმეურნეო სოფელს

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომაში ამ დღეებში ორმოცამდე ოჯახში აწყრიალდა ავტომატური ტელეფონის ზარი. ტელეფონებით დაკავშირდა საკოლმეურნეო ფერმები, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები. მალე სოფელი ლაგოდეხს დაუკავშირდება რამდენიმე ავტომატური ხაზით.

გათუმს დაჰყურებს ლენინი

გათუმი. (საკ. კორ.). ქალაქის განაპირა მთაზე ალიმართა დიდი ბელადის ვ. ლენინის ბარელიეფური გამოსახულება, მისი სიმაღლეა 24 მეტრი, ხოლო სიგანე 20 მეტრი. ბარელიეფი დღისითაც და ღამითაც ქალაქის ყველა უბნიდან კარგად მოჩანს.

ჩვენი მწვანე მეგობრები

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ამ ადგილს დიღმის ველი ეწოდებოდა. გარშემო არავითარი მცენარეულობა არ იყო. მთელი წლის მანძილზე აქ ხორშაკი უბერავდა. მიწა მცირე მოსავალს იძლეოდა, საკმაოდ არ იყო წყალი.

ახლა საქართველოს სამხედრო გზის ამ კუთხემ ისე იცვალა სახე, რომ ადამიანს ცნობა გაუჭირდება. და თუ დიღმის მასივიდან მცხეთისაკენ წახვალთ, გზაში შეგხვდებათ ლამაზი მონუმენტური შენობები. ადამიანის ხელს აქ დაურგავს ასეულ ათასობით მცენარე. ვენახებსა და ბაღებს გარშემო შემოვლებული აქვთ მარადმწვანე ქარსაცავი ზოლები. მიწამ უხვად მიიღო ხელოვნური ტენი.

სანამ ავჭალის ხიდთან მიხვიდოდეთ, გზის ორივე მხარეს გრძელ ხეივნებად გაჭიმულა „მწვანე „გზები“, რომელთაგან ერთ-ერთი ნაჩვენებია ფოტოსურათზე.

ტექსტი და ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მეგობრობის კვირეული

თელავი. (საკ. კორ.). კარგახანია მეგობრული ძაფები გაიბა საქართველოს სსრ თელავისა და სომხეთის სსრ ეხეგნაძორის რაიონებს შორის. სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც ამ ორ რაიონს შორის წლების მანძილზეა გაშლილი, განსაკუთრებული ფართო მასშტაბი მიიღო წელს.

ამ ცოტა ხნის წინათ სომხეთის კომპარტიის ეხეგნაძორის რაიონის პირველი მდივნის ო. ოვსეპიანის მიწვევით თელავის რაიონის მშრომელთა დელეგაცია მეგობრობის კვირეულზე ეხეგნაძორს ესტუმრა. დელეგაციის წევრებმა — გაზეთ „ალაზნის განთიადის“ რედაქტორმა შ. როსტომაშვილმა, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ბ. მეგრელიშვილმა, საქართველოს ალკკ თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ქემაშვილმა და დელეგაციის სხვა წევრებმა ეხეგნაძორელ მეგობრებთან ერთად ანალიზი გაუკეთეს შეჯიბრების შედეგებს.

ეხეგნაძორელი მშრომელები საპასუხო ვიზიტით მალე ესტუმრებიან თელავს.

შემთხვევები

მოსწავლეებმა გადაარჩინეს

ყვარელი. (საკ. კორ.). მეიდროდ დასახლებული სოფელ გავაზის ის უბანი, სადაც კოლმეურნე გ. კ-ს ეზო-კარმიდამოა, მაგრამ მეზობლებმაც გვიან შენიშნეს მის სახლში ავარდნილი ხანძრის ალი.

თ. ბუთიაშვილი და თ. ელიზბარაშვილი ამ დროს სკოლიდან ბრუნდებოდნენ. მეათეკლასელებს ფიქრის დრო აღარ რჩებოდათ. შეამტვრიეს ფანჯარა, სტიქიას შეებნენ და მალე ჩააქრეს ხანძარი.

კონცერტებით მეგობართა მიწაზე

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის მხატვრული კოლექტივების წარმატება

◆ ოქტომბერ-ნოემბერში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმართა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. ერთთვიურში მონაწილეობას მისაღებად საბჭოთა კავშირიდან მიწვეული იყო ექვსი მხატვრული კოლექტივი: სახკონცერტის მოსკოვის ორი ანსამბლი, ბელორუსიის, ვოლგოგრადის, ყაზახეთის სახელმწიფო ანსამბლები და ამიერკავკასიიდან — თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი. ეს ამ კოლექტივის მეოთხე გასვლა იყო საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ. ინსტიტუტის ახალგაზრდების ხელოვნებას კარგად იცნობენ ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის ხელოვნების მოყვარულნი.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა ინსტიტუტის თვითმოქმედი კოლექტივის მხატვრულ ხელმძღვანელს, ინსტიტუტის პროორექტორა ბეთრი ბეიშვილს, რომელიც უკვე 18 წელია უცვლელად ხელმძღვანელობს ახალგაზრდობის მხატვრულად აღზრდას.

— პატივცემულო ბეთრი, გთხოვთ, გვიამბოთ, რომელ ქალაქებში მიგიხდათ კონცერტებით გასვლა, როგორი იყო თქვენი პროგრამა, რომელ ორგანიზაციებთან გქონდათ შეხვედრები და საერთოდ როგორია თქვენი შთაბეჭდილებები.

— პირველ რიგში მინდა მოგახსენოთ ჩვენი კოლექტივების რეპერტუარზე, — აღნიშნა მან. — როგორც კი მივიღეთ მიწვევა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებისაგან, შევუდექით ჩვენი რეპერტუარის მთლიანად გადახალისებას. უნდა გაგვეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ საზღვარგარეთ ახლანდელი ჩვენი გასვლა ეძღვნებოდა დიდი ოქტომბრის სახელოვან იუბილეს და ამიტომ მთელი პროგრამა ისე უნდა ყოფილიყო თემატურად აგებული, რომ სიღრმენა და ცეკვებთან ერთად მაყურებლისათვის გვეჩვენებინა ჩვენი ხალხის მიღწევები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. წარმოგვესახა საბჭოთა ახალგაზრდობის მოსწრაფება მეგობრობისა და მშვიდობისაკენ. მოგამზადეთ 30 ვოკალურ-ქორეოგრაფიული ნომერი, რეპერტუარში შევიტანეთ როგორც ქართული ხალხური სიმღერები, ისე თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების ო. თაქთაქიშვილის, რ. ლაღიძის, ს. მირიანაშვილის, ო. გორდელის, გ. ცაბაძის ნაწარმოებები, რეპერტუარში ფართო ადგილი დაეთმო რუს და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა სიმღერებს, მათ შორის გერმანელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

ჩვენს საათნახევრიან პროგრამაში ჩართული იყო ფერადი დოკუმენტური ფილმი საბჭოთა საქართველოს მიღწევებზე, რომელიც ორგანულად იყო შერწყმული პროგრამის მსვლელობასთან.

16 ოქტომბერს ჩვენი ინსტიტუტის მხატვრულ კოლექტივებს პირველი გამოსვლა ჰქონდათ ბერლინის უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელებისათვის.

მთელი პროგრამა გერმანულ ენაზე მიმყავდათ ანსამბლის წევრებს მ. შარაშიძეს და დებს ვ. და მ. ახვლედიანებს. ისინი მაყურებლებს აცნობდნენ თვითეული სიმღერის შინაარსს. ქალთა ვოკალური კვარტეტის ნაზ სიმღერებს ცვლიდა ცეცხლოვანი ცეკვა „ფარიკაობა“, ქართული ხალხური მელოდიების ფონზე ეკრანზე ინთებოდა ჩვენი ქვეყნის წარმტაცი ხედები, ბაღ-ვენახების ბარაქა, კავკასიონის თოვლით დაფარული მწვერვალებს ქვეშ გაშლილი იალაღები თავიანთ თეთრი ქარავნებით, შავი ზღვის სანაპიროს ზოლზე გადაშლილი ნარინჯოვანი ბაღები...

მეორე კონცერტი გავმართეთ ქ. ბერნაუში, პროფკავშირთა უმაღლეს სასწავლებელში, სადაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი სწავლობენ. ჩვენი ახალგაზრდობის გამოსვლას მსმენელები დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდნენ, თითქმის ყოველი ნომერი მეორდებოდა. დაუვიწყარი იყო კონცერტის ფინალი, როცა სცენაზე გამოსულ ანსამბლის ყველა წევრთან ერთად ა. ოსტროვაკის სიმღერას „დე მუდამ იყოს მზე“ ფეხზე ამდგარი მღეროდა მთელი დარბაზი.

ქართველ სტუდენტთა მხატვრული კოლექტივების გამოსვლას მაღალ შეფასებას აძლევდნენ გერმანული გაზეთები. ჩვენი კონცერტი გადასცეს რადიოთი და ტელევიზიით. ასე რომ რესპუბლიკაში უკვე გვიცნობდნენ.

ჯარდა კონცერტებისა, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნე, ჩვენი მიზანი იყო გაგვეცნო გერმანელი საზოგადოებისათვის ის მიღწევები, რომლებიც საბჭოთა საქართველომ მოიპოვა განვლილი წლების მანძილზე. სწორედ ამიტომ ყოველი კონცერტის დასაწყისში ჩვენი დელეგაციის წევრი, ინსტიტუტის პარტიუროს მდივანი დოცენტი ვლ. ჭანუყვაძე აწყობდა რამდენიმე წუთიან საუბარს საბჭოთა საქართველოს შესახებ. ამ საუბარს თარგმნიდა ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტის დეკანი შ. ხახაშვილი. შენობის ფოიეში, სადაც კონცერტს ვმართავდით, გვქონდა საქართველოდან წაღებული დიდი ფოტოგამოფენა ჩვენი სამშობლოს მიღწევებზე.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მეტალურგიული ქალაქის აიზენჰიტუტენშტადტის ხახვამ. მოგვხიბლა ამ ახალგაზრდა ქალაქის არქიტექტურამ, მისმა ახალმა სახლებმა და ბალებმა.

გუთბილად მიგვიღეს მეტალურგიული გიგანტის მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთ კულტურის სასახლეში, სადაც ჩვენმა ახალგაზრდებმა მათთვის გამართეს კონცერტი.

ქ. დრეზდენი — ძველი გერმანული მილიონერთა ქალაქი თავისი შესანიშნავი კულტურული ძეგლებითა და მსოფლიოში ცნობილი საგამფენო გალერეით. აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობთ ფაშიზმის შედეგს, ომის ნაკვალევს. ამაზე მეტყველებს თვით დრეზდენის გალერეის შესასვლელში ოფიცერ კოტოვის წარწერა — „შენობა განაღმულია“, თუ ცნობილი ქალთა მონასტრის ნანგრევები.

ჩვენი ახალგაზრდული კოლექტივების წარმატების ერთ-ერთ ფაქტად მიმაჩნია 25 ოქტომბერს ბერლინის საბჭოთა კავშირის საელჩოში გამართული კონცერტზე მიწვევა. ამ დღეს ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა 200 გერმანელი მოქალაქე — ცნობილი ანტიფაშისტები, რევოლუციის ვეტერანები. დარბაზობას ესწრებოდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ულბრიხტი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

საზეიმო ნაწილის დამთავრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბერლინის საოპერო თეატრის სოლისტებმა და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის თვითმოქმედმა კოლექტივმა. ქართველი ახალგაზრდების გამოსვლას დიდი მოწონებით ხვდებოდნენ. გადმოგვცეს სამახსოვრო ყიდღოები და სიგელები.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიწვეული ვიყავით ათი დღით — 26 ოქტომბრამდე, მაგრამ იმდენად დიდი იყო თბილისელი ახალგაზრდების ხელოვნებით აღფრთოვანება, რომ მიწვევა კიდევ ათი დღით გაგვიგრძელეს. ამ ხნის განმავლობაში გავმართეთ კონცერტები ოდერის ფრანკფურტში — ქალაქის აქტივისათვის, ბერლინში ელექტრომოწყობილობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის. ქ. ბერნაუში პარტიული აქტივისათვის, ბერლინის კინოთეატრ „კოსმოსში“ ქალაქის ახალგაზრდობისათვის, აგრეთვე გვქონდა მრავალი შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებთან, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან.

მინდა დავასასრულო ჩვენი კოლექტივის წევრები, რომლებმაც განსაკუთრებით დაინახსოვრეს მაყურებელთა მოწონება. ესენი არიან მ. ძიძიგური, მ. დარბაისელი, ნ. თურქაძე, დები მ. და ვ. ახვლედიანები, მ. შარაშიძე, მ. ხმალაძე, ვ. ლომსაძე, ჯ. ბაღაშვილი, ლ. მირზოევი, რ. ჯიოევი, ა. დუნაიცკი, ნ. კირკალიძე, ბ. თბილელი, ო. ლომსაძე.

2 ნოემბერს გამოვემგზავრეთ სამშობლოში. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გატარებული დღეები ყველა ჩვენგანისთვის დაუვიწყარი იქნება.

ვეცდებით ასევე გულთბილად შევხვდეთ ჩვენთან ჩამოსულ გერმანელ სტუმრებს, რომლებიც მალე გვეწვევიან გერმანიის კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად.

სურათზე: თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივის ერთი ჯგუფი ტრეპტოვ-პარკის უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

რეკორდები ფიცარნაგზე

ბუაფსეში დამთავრდა სოფლის ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრება. მონაწილეობდა 18 გუნდი. თავიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს უკრაინელებმა და გუნდურ ჩათვლაში პირველობაც მათ ხვდათ. მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა რსფსრ-ის შტანგისტთა კოლექტივმა, მესამე — საქართველოს გუნდმა.

შეჯიბრებაზე ბრწყინვალედ გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ალექსანდრე ჯიჯელავა, რომელმაც ატაცში აჩვენა 158,5 კილოგრამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა პირველი ძმიმე წონის შტანგისტთა შორის. ა. ჯიჯელავას შედეგი საუკეთესო იყო აგრეთვე სამჭიდში — 495 კილოგრამი.

პრასნოდარში დამთავრდა არმიელ ძალოსანთა შეჯიბრება. წარმატებით გამოვიდა 20 წლის ლეონიდ კრიეჯინინი, რომელმაც აწია 116,5 კილოგრამი.

ზორს არ არის ზამთრის ოლიმპიადა, რომელიც გრენობლში გაიმართება. ამ გრანდიოზული ასპარეზობისათვის გაცხოველებით ემზადებიან მონაწილე ქვეყნები. თითქმის ყველგან მიმდინარეობს გუნდების დაკომპლექტება, წვრთნა, საერთაშორისო მატჩები.

თეთრი ოლიმპიადა, რიგისამი მეათე, გრენობლში 6 თებერვალს დაიწყება და 12 დღეს გაგრძელდება. საბჭოთა გუნდს, როგორც ყოველთვის, ერთ-ერთ ფავორიტად თვლიან. ჩვენი სპორტსმენები გამოვლენ პროგრამის გადვილსწენებულ ყველა სახეობაში, გარდა ნარნილებით ჩქაროსნული დაშვებისა და ბობსლეიზა. გრენობლის ასპარეზობაში მონაწილეობენ საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შევა 95 კაცი. ესენი არიან ჩქაროსნული მოცეგურაკეები, ჰოკეისტები, ფიგურული მოცეგურაკეები, მოთხილამურეები, ორეულელები, სლალომისტ ტ ბ ტ ტრამპლინიდან მხტომელები, ბიატლონისტები.

გრენობლის, ასპარეზობისათვის უკეთ მომზადების მიზნით საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ტურნირებში. ფეხბურთის შეჯიბრებები მოეწყობა საბჭოთა ქვეყნებში.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პლენუმმა მხარი დაუჭირა ჩეხოსლოვაკიის წინადადებას, რომელმაც ბრალი დასაბალა XXII ოლიმპიური ასპარეზობის ქალაქად.

გრენობლის თეთრ ოლიმპიადაზე

⊙ სსრ კავშირის და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ფედერაციები. მეთხუთმეტენ, რომ მოსკოვის „ტორპედოსა“ და ჩეხოსლოვაკიის „სპარტაკის“ მატჩი თასის მფლობელთა თასზე გაიმართოს 25 ნოემბერს ტუშინოში და 30 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიაში.

⊙ ბუქარესტში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში „ბუქარესტის თასზე“. სხვებთან ერთად შეჯიბრებაზე გამოდის ჩვენი ქვეყნის ნაკრები. მოერგ მატჩში საბჭოთა ხელბურთელმა ვაიკებმა დაამარცხეს უნგრეთის გუნდი ანგარიშით 24:19.

⊙ მოგვაკალი ოლიმპიური ასპარეზობის ქვეყნის — მექსიკის ზეგზეს ფინიშს უახლოვდება მრავალდღიანი ველოსიპედი. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ველოსიპედისტების მეოთხე ადგილი უკავიათ.

⊙ პრაღაში გრძელდება სტუდენტთა გუნდების ასპარეზობა ფრენბურთში „17 ნოემბრის თასზე“. მონაწილეობენ სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების ვაჟთა გუნდები. მოსკოვის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელებმა უკვე ორი გამარჯვება მოიპოვეს. მათ დაამარცხეს პოლონეთის გუნდი 3:1 და ბულგარეთის ფრენბურთელები 3:0.

ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე

საქართველოს კ. ამირაჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ახლად აგებულ შენობაში (რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გადაეცა ინსტიტუტს) გაიმართა საიუბილეო სამეცნიერო სესია. მოხსენებით „სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე და შემდგომი პერსპექტივები“ გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ვ. მეტრეველი.

მეჩაიეობაში, მეცხერეობაში, მეენახეობა-მეღვინეობაში, მეცხოველეობასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის, ელექტროფიკაციისა და ავტომატიზაციის საკვანძო საკითხებზე მიტაც საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ ლენინური პრემიის ლაურეატი პროფ. შ. კერესელიძე, პროფ. ზ. ხანთაძე, ლაბორატორიის გამგეები გ. მშვიდობაძე, გ. კუჭავა, დ. უსეინაშვილი, შ. ლეფსვერიძე, კ. დიდებულიძე, ვ. ჩოჩია, კ. მესხი, გ. ვეგელიძე მეცნიერ-მუშაკები ვ. შეკვარდნაძე, გ. ჩაჩანიძე, ა. ივანაშვილი, ასპირანტები გ. ბერეზაშვილი, გ. მიქაძე, ე. ღარიბაშვილი, გ. გურაშვილი და სხვები. სესიაზე სულ მოსმენილ იქნა 45 მოხსენება და მეცნიერული ხასიათის ინფორმაცია.

სესიაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პროფესორ ბ. ფალავანდიშვილი, ამავე სამინისტროს მეცნიერების პროგაგანდის და სასოფლო-სამეურნეო განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი პროფ. გ. ბადრიშვილი და პროფ. ვ. ხანთაძე.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა 200-მდე კაცი — მექანიზატორები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ეკონომისტები, რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნოვატორები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკური გაზეთებისა „სოფლოფლენინის“, საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის. „საქენერგოს“, ზოოვეტინსტიტუტისა და რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში მომუშავე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერები, პარტიული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი ნუშაკები.

დ. ფაილოძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

გამოიწერეთ, იკითხეთ გაზეთი „კომუნისტი“

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების საგმგართველოს „სოიუზპეჩატი“ იუწყება, რომ

გაზეთ „კომუნისტზე“

ხელმოწერა 1968 წლისათვის

შეწყდება 25 ნოემბერს.

„სოიუზპეჩატი“.

„სოიუზპეჩატის“ ყოველ განყოფილებაში შეგიძლიათ გამოიწეროთ ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

მნათობი

1967 წლისათვის. ხელმოწერა შეგიძლიათ გააფორმოთ მოთ მხოლოდ 25 ნოემბრამდე.

ჟურნალი „მნათობი“ მთელი წლით ღირს 9 მან. და 60 კაპ., 6 თვით — 4 მან. 80 კაპ., 3 თვით — 2 მან. 40 კაპ.

გამოიწერეთ, იკითხეთ ჟურნალი „მნათობი“.

„დინამოს“ სტადიონი

აპ. ფერეთლის პრსპ. № 2

ტელ. 5-21-62

19 და 20 ნოემბერს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის

„ზარია“ ლუგანსკი — „დინამო“ თბილისი

19 ნოემბერს საოფიციალო შემადგენლობანი, დასაწყისი 15 საათზე

20 ნოემბერს ძირითადი შემადგენლობანი დასაწყისი 18 საათზე

ბილეთები აბონემენტებზე 20 ნოემბრისათვის წინასწარ გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის საოფისეებში 19 ნოემბერს 11-დან 18 საათამდე, შესვენება 14-დან 15 საათამდე. ბილეთების საერთო გაყიდვა 20 ნოემბერს 10 საათიდან.

ჩაუ ვიკითხოთ, ჩაუ ვერვისეირთოთ

ტელევიზია

19 ნოემბერი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად. — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „მალვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მხატვრული ფილმი „ვასილიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „სამშობლოს ფარი და ხმალი“ — ეძღვნება სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეს, 17.40 — კინონარკვევი, 18.05 — კონცერტი მაყურებელთა დაკვეთით, 18.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორნი“, 19.25 — გადაცემა — „კორტზეა ალექსანდრე მეტრეველი“, 19.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 19.55 — გადაცემა აკადემიკოსი ილია ვეკუა“, 20.25 — კინონარკვევი, 20.45 — „საღამოს შეხვედრები“ — საესტრადო გასართობი პროგრამა, 22.25 — გადაცემათა პროგრამა 19 ნოემბრისათვის, 22.30 — მსოფლიო პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში (გადმოცემა კოპენჰაგენიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 11 საათიდან.

20 ნოემბერი

17.30 — გადაცემათა პროგრამა, 17.35 — ოქტომბრელთა თვის — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 17.55 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ თბილისი — „ზარია“ ლუგანსკი, 19.45 — კინონარკვევი, 20.00 — აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია თბილისის ზაკარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. ტრანსლაციის შემდეგ — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 16 ს. და 55 წუთიდან.

თეატრები

19 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — წითელქუდა (დღისით), სამი ნოველა (საღამოს პრემიერა), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გვადი ბიგვა (დღისით), ჩალის ქუდი (საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მომავალ შეხვედრამდე (დღისით), წმინდანები ჯოჯოხეთში (საღამოს), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — იცოცხლე მრავალჟამიერ! (დღისით), ჩანტას კოცნა (მე-100 წარმოდგენა. საღამოს).

20 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლებედინი ტბა (დღისით), სამი ნოველა (საღამოს), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბერიკაობა (დღისით), ჩალის ქუდი (საღამოს). მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბერიკაობა (დღისით), ბალბინა (საღამოს), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბედნიერ ოჯახში (დღისით), ჩანტას კოცნა (მე-100 წარმოდგენა. საღამოს).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03. 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-98, მრეწველობის — 3-20 34, სოფლის მეურნეობის — 9 52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ფფ 04259

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

5